საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

# განკარგულება

№ 154

16 07 2013 წელი

## მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გაკვრისა და გამოფენის ადგილების გამოყოფის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 16 ივლისის სხდომის №10 ოქმის 30-ე საკითხის შესაბამისად, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლისა და საქართველოს „საარჩევნო კოდექსის" 46-ე მუხლის შესაბამისად.

1. საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო პლაკატების გაკვრისა და გამოფენისათვის მარნეულის მუნიციპალიტეტში გამოიყოს სპეციალური ადგილები თანახმად დანართი №1-ისა.

2. განისაზღვროს იმ შენობა – ნაგებობების ნუსხა, სადაც დაუშვებელია (აკრძალულია) საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა. (დანართი №2).

3. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მისამართი: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა №4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ელდარ მუსტაფაევს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ისკანდარ ქერიმოვი

GEORGIA COUNCIL OF MARNEULI MUNICIPALITY 234232149

დანართი №1

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნებადართული ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა:

1. ელექტრო ბოძები;
2. საცხოვრებელი ბინების (კორპუსების) ფასადები;
3. კერძო საკუთრებაში არსებული შენობების ფასადები (მათ შორის საცხოვრებელი, მესაკუთრესთან ან მფლობელებთან შეთანხმებით);
4. მაღაზიის შენობების ფასადები (მესაკუთრეებთან ან მფლობელებთან შეთანხმებით);
5. კლუბების ფასადები.

საქართველო, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA. COUNCIL OF MARNEULI MUNICIPALITY
მარნეული
234232149

დანართი №2

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყოფილი ადგილების ნუსხა, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა და გამოფენა:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში:
2. სასამართლოს შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში:
4. სახანძრო – სამაშველო სამსახურის სენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;
6. მარნეულის პოლიციის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში;
7. საჯარო სკოლების ინტერიერსა და ექსტერიერში;
8. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შენობების ინეტრიერსა და ექსტერიერში:
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ნიშნები;
10. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები:
11. ხე – მცენარეები.